ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 26 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბრძოლო

დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის წერილი, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრისთვის უზუფრუქტის წესით გადაცემის თაობაზე. მერია თანახმაა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს, რაზედაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასში გარკვეული შინაარსობრივი კორექტივების შეტანის შემდეგ მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და

დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, მდებარე ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N189 მე-3 სართული, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების N1 დანართის საფუძველზე სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ჰქონდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ხობის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურს. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N227 დადგენილების თანახმად განხორციელდა სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის რეორგანიზაცია და შეიქმნა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითხოვს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურისთვის უზუფრუქტის წესით გაცემული განკარგულების გაუქმებას. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მერიის მიერ წარმოდგენილია განკარგულებს პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 აპრილის N17 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითხოვს, მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის" არსებობის ვადით, საოფისე ფართის, სარგებლობის უფლებით, (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემას. მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ განხილულ იქნა ზემო აღნიშნული წერილი და წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის ფორმით) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ", რომლის საფუძველზეც სააგენტოს გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N189-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე

33,9 კვ.მ ფართი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასში გარკვეული შინაარსობრივი კორექტივების შეტანის შემდეგ მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი).

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აქვს პატივი წარადგინოს ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც გააცნო საკრებულოს წევრებს (ოქმს თან ერთვის) გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა 2018 წელს მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და დასასრულს აღნიშნა, რომ რაც გაკეთდა ხობის მუნიციპალიტეტში, საკრებულოსთან შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობის შედეგია. მადლობა გადაუხადა საკრებულოს ყველა წევრს თანამშრომლობისთვის. მერის განცხადებით 2019-20 წელი უფრო შედეგიანი და უკეთესი იქნება ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ნადარაია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ გაზის მაგისტრალმა დიდი ხანია გაიარა ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე და დაპირება იყო, რომ მოკლე დროში მოხდებოდა სოფლის გაზიფიცირება, რის შემდგომაც მოსახლეობა ელოდება შიდა დაქსელვის დაწყებას, მაგრამ უშედეგოდ. გამომსვლელი დაინტერესდა, თუ როდისთვის იგეგმებოდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების განხორციელება?

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მას მუნიციპალიტეტის არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობისთვის არ მიუცია დაპირება გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, რადგანაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება მის კომპეტენციას აღემატებოდა, მაგრამ ყველა დონეზე, შესაბამის უწყებებში გაგზავნილი აქვს წერილები, მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირებასთან დაკავშირებით და როგორც მისთვის ცნობილია მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა, აღნიშნულ კომპანიაში თვითონ წყვეტენ თუ სად და როდის დაიწყონ დაქსელვა.

მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ გარკვეული სახის შენიშვნები აქვს მერიის სამსახურებთან მიმართებაში. მისი განცხადებით, მერიის სამსახურების ანგარიშების განხილვას საკრებულოს შესაბამის კომისიებში დაესწრო მხოლოდ ორ კომისიას, მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის და კულტურის სამსახურის ანგარიშს, რაც შეკითხვები ჰქონდა ადგილზე დასვა და პასუხებიც მიიღო, თუმცა არადამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გამომსვლელის აზრით იყო გარკვეული ხასიათის შეცდომები, რომელიც ადგილზე დააფიქსირა, მაგრამ მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ფიქრობს, რომ მაინცდამაინც დიდი შეცდომა არ დაუშვია. შენიშვნა, აქვს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთანაც, გამომდინარე იქიდან, რომ მერის ანგარიშში წერია; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადასახადი იურიდიული პირებიდან შემოსულია 22,0 ათასი ლარი, რაც არასწორია რეალურად არის 220,991 ათასი ლარი და ძალიან დიდი განსხვავება იყო აღნიშნულ თანხებს შორის, ეს იმათი შეცდომაა ვინც ტექსტი შეადგინა. იგივე შეცდომა იყო კომისიებში ჩამოგზავნილ ანგარიშში, ფიქრობდა, რომ მერის ანგარიშის განხილვისთვის გამოსწორდებოდა, მაგრამ იგივე ტექნიკური შეცდომა დაფიქსირდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ ტექსტს წერენ და არ კითხულობენ. რაც შეეხება შესრულებას, პრობლემა არის ქონების გადასახადში, მაგრამ ეს გადაფარა იმ საშემოსავლომ, რომელიც ზედმეტი შემოვიდა და დააბალანსა, ამაზე ლომის წვლილი ერთერთ ბიზნესმენს კორნელი კემულარია მიუძღვის და ეს არ არის ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურება. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის, როგორც ანგარიშში წერია, ამოღებულია 78,0 ათასი ლარი, რომელიც ძალიან ცოტაა, ამოსაღები იყო 100,0 ათასი ლარი, ესეიგი. 32,0 ათასი ლარით ნაკლები შემოვიდა. შემოსავალი მიწის იჯარიდან 19,0 ათასი ლარით ნაკლები შემოვიდა, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის, ამონაგები არის 15,0 ათას ლარამდე, გეგმა კი იყო 31 ათასი ლარი, 16,0 ათასი ლარით ვერ შესრულდა გეგმა. ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოვიდა 275,0 ათასი ლარი, აქედან ლომის წვლილი 190,0 ათასი ლარი შემოვიდა საპატრულო ჯარიმებიდან, ხობის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეო ჯარიმების საშუალებით. განაცხადა, რომ მისი შენიშვნები, არ იყო ვინმეზე პიროვნულად მიმართული, ეს იყო სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და ნურავინ მიიღებდა პიროვნულად. გამომსვლელის თქმით, მერმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა, მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს, რომლის ბიუჯეტი 128,3 ათასი ლარია, აქედან 89,3 ათასი ლარი არის შრომის ანაზღაურება, 38,8 საქონელი და მომსახურება და 200 ლარი არის სხვა ხარჯი, აქედან 107,0 ათასი ლარი მიდის დელეგირებული თანხიდან, ამას ემატება 20,7 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ეს თანხა მიდის საწვავში და ტრანსპორტის დაქირავებაში, ამას ემატება სამსახურის მანქანა და მისთვის გათვალისწინებული საწვავი და ამდენი სამადლობელი ნამდვილად არ იყო, გამომდინარე იქიდან, რომ 36 წვევამდელია გასაწვევი.

ზ. კუპრეიშვილი - მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ერთ-ერთი სამსახურია, რომელიც 100%-ით ასრულებს გეგმას და ეს დიდი შრომის დამსახურებაა. თითო წვევამდელზე უწევთ კარდაკარ და რამოდენიმეჯერ სიარული სოფლებში, 36 წვევამდელი რომ ჩაირიცხოს, უწევთ 500-მდე ახალგაზრდის წაყვანა თბილისში, სამწუხაროა, მაგრამ მათგან უმრავლესობა სამედიცინო შემოწმებისას დადებით პასუხს ვერ იღებენ, რადგან უმრავლესობა ახალგაზრდებისა უვარგისია სამხედრო მომზადების გასავლელად.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მისი შენიშვნები პიროვნულად არავის ეხებოდა, ეს იყო სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ყველა უნდა შეეგუოს კრიტიკული აზრის გამოთქმას სამსახურის მიმართ, ყველას აქვს კანონით მინიჭებული უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი და დააფიქსიროს პოზიცია საკრებულოს სხდომაზე. პირადად მას, აღნიშნული სამსახურის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და დადებითად აფასებს აღნიშნული სამსახურის მუშაობას, განსხვავებით მერიის სხვა სამსახურების მუშაობისა. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (მ. ქარდავა) ღრმად არის ჩახედული სამსახურების ფინანსურ საკითხებში და გამომდინარე აქედან უდგება კრიტიკულად. გამომსვლელმა განაცხადა, რომ მერიის სამსახურის უფროსები ან წარმომადგენლები უნდა ესწრებოდნებ ყველა საკრებულოს სხდომას, გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულოს წევრებს, როდესაც გაუჩნდებათ კითხვები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებთ, უნდა მიიღონ მერიის შესაბამისი სამსახურებიდან ამომწურავი პასუხი. ასევე განაცხადა, რომ კოორდინაცია არ არსებობდა სოფლებში მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს შორის, რომელიც იწვევდა

გარკვეულ გაუგებრობას და ქმნიდა პრობლემებს. ასევე მერიის სამსახურებს არ აქვთ კომუნიკაცია საკრებულოს შესაბამის კომისიებთან. მისი განცხადებით აღნიშნული შენიშვნები ყველა სამსახურს არ ეხებოდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტების შერჩევისას თითქმის არ იყვნენ საკრებულოს მაჟორიტარი წევრები ჩართულები. თუ მერიის ზოგიერთი სამსახური ახერხებდა კოორდინებულ მუშაობას საკრებულოს შესაბამის კომისიებთან, მაშინ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური რატომ ვერ ახერხებდა კოორდინირებულად მუშაობას საკრებულოს შესაბამის კომისისთან. მისი თქმით, ზემოთ აღნიშნული ხარვეზები არ მოდიოდა მერიის პირველი ან მეორე პირებიდან, ეს ეხებოდა უშუალოდ მერიის სამსახურების არა კოორდინებულ მუშაობას. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა, ერთ-ერთი ტელევიზის მეშვეობით გავრცელებულ ცრუ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები არ ხორციელდებოდა, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. საკრებულომ დააფიქსირა თავისი აზრი სხდომაზე, რომელზეც ადეკვატურად უნდა გაცემულიყო პასუხი ოფიციალურად და ამავე სხდომაზე მიემართა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (ზ. ბუკია), რათა შესაბამისად ეპასუხათ ამ სიცრუეზე. სამსახურის უფროსის პასუხი იყო, რომ მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და უახლოეს პერიოდში გაეცემოდა პასუხი, რომ აღნიშნული ცრუ ბრალდება არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მაგრამ რამოდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ და პასუხი დღემდე გაუცემელია, თუმცა მისი აზრით აწი პასუხის გაცემას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგანაც ძალიან დაგვიანებული იყო. როდესაც საკრებულოს სხდომაზე, რაღაც ფიქსირდება, ეს არ არის ერთი და ორი საკრებულოს წევრის პოზიცია, ეს არის მთლიანი გუნდის პოზიცია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს. საკრებულოს მიერ დაფიქსირებული პოზიციის გაუთვალისწინებლობა იწვევს შემდგომ ასეთ უსიამოვნო საუბრებს. იქვე მიმართა მერიის სამსახურებს, ნუ შეიტანდნენ დისონანსს საკრებულოსა და მერიის ურთიერთობაში და მათი დამოკიდებულებით არ დააზარალონ ხობის მუნიციპალიტეტის ინტერესები.

ა. ვარდია - მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა ისაუბრა დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ წინა წელს განხორციელდა 14,0 ათასი ლარის ამოღება, ხოლო მიმდინარე წელს დღეის მდგომარეობით უკვე ამოღებული იყო 14,0 ათასი ლარი, რაც იმის მანიშნებელია, ამ კუთხით წინსვლაა დასუფთავების სამსახურში და იმედია წლის ბოლომდე თანხა გაორმაგდებოდა.

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - გამომსვლელი ნაწილობრივ დაეთანხმა იმ შენიშვნებს, რომელიც გამოთქმულ იქნა მისი სამსახურის მიმართ და

აღნიშნა, რომ რაც არის გაკეთებული, მათი სამსახურის მიერ, დიდი შრომის შედეგად იქნა მიღწეული.

დ. გაბუნია - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არის ზაფხული, ივნისის თვე და წინ კიდევ ელოდებათ ცხელი დღეები. მისი განცხადებით, ქალაქის ცენტრში იყო დამონტაჟებული რამოდენიმე წყლის ე.წ. „სოკო", რომლითაც ბაზარში მოვაჭრე მოქალაქეები და ჩამოსული სტუმრები სარგებლობდნენ სასმელი წყლით, ამჟამად არცერთი არ ფუნქციონირებს, არადა მათ მოვლა შენახვისთვის, გამოყოფილია შესაბამისი თანხები. გამომსვლელი დაინტერესდა, ვის კომპეტენციაში შედიოდა მათი მოვლა შენახვა და როდისთვის შეიძლებოდა აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ვ. ქანთარია - საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელის მოსაზრებას ქალაქის ცენტრში სასმელი წყლის დროულად მოწესრიგების თაობაზე.

ნ. ბუკია - შპს „ხობი დასუფთავება და განათების" დირექტორი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაწყებულია სამუშაოები, მაგრამ დროებით ხელი ეშლებათ, რადგანაც გაერთიანებული წყალმომარაგება ახორციელებს ახალი მილების გაყვანას. გამომდინარე აქედან ყველა ე.წ. წყლის „სოკო" გადასაერთებელია ახალ მილებზე, რაც დროში იწელება. მისი განცხადებით, წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად ერთი კვირა დასჭირდებათ.

კ. ნასარაია - საკრებულოს წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ყველასათვის ცნობილია ყოფილი ძველი აფთიაქის შენობის ჩამოშლის შესახებ, დაინტერესდა, თუ ვის ფუნქციაში შედიოდა საკითხის მოგვარება და როდისთვის განხორციელდებოდა მისი დემონტაჟი?

გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მერიამ აღნიშნული შენობის ტერიტორია საკუთარი სახსრებით შემოაკავა და დამცავი ჯებირი გაუკეთა, უსაფრთხოების მიზნით. აღნიშნული შენობა არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და მერიას უფლება არ აქვს, რაიმე სახის მოქმედება განახორციელოს შენობის დემონტაჟთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, მერიის მხრიდან აღნიშნულზე ეცნობა სამხარეო ადმინისტრაციას და ეკონომიკის სამინისტროს და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პრობლემა დროულად მოგვარდებოდა.

მ. რუხაძე - მერიის მუნიციპალირი ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ნაგებობის გარკვეულ ნაწილს, ჰყავს ოთხი მესაკუთრე, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად არიან დაუწყებული მერიის მიერ,

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ ამ დრომდე პრობლემა ვერ იქნა მოგვარებული.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს წევრებს, კიდევ ხომ არ ექნებოდათ შეკითხვები ან შენიშვნები მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან დამატებით არ გამოთქმულა რაიმე სახის მოსაზრება, რის შემდგომაც კენჭი ეყარა მერის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასებას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 21

დადებითი – 9 (დ. გაბუნია, ტ. ალექსანდრია,, თ. გელანტია, ლ. ცატავა, მ. ლემონჯარია, მ. ნადარაია, ა. ხუნჯუა, ი. გოგოლაძე, გ. ქაძანაია)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 27 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ზერაია
5. დოდო გაბუნია
6. თეა გელანტია
7. ტარიელ ალექსანდრია
8. მერაბ ფილიპია
9. ბქეა მამაცაშვილი
10. თენგიზ აბაკელია
11. კახა ლატარია
12. ირაკლი ნადარაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. რამინი ხილაძე
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. ლაშა ცატავა
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. შადიმან ჭილაია
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. იგორი გოგოლაძე
29. ნიკოლოზ ვეკუა
30. მერაბ ნადარაია